# I ოქტომბერი

წმ. თერეზა ყრმა იესოსი (მ)

## 2009 ხუთშაბათი

ნეემ. 8, 1-4.5-6.7-12; ფს. 18; ლუკ. 10, 1-12 II თ

მისიონერთა თვე

## ღვთის სასუფეველი მოგიახლოვდათ. (ლუკ. 10, 11)

იესო თავის მოწაფეებს აგზავნის ორ-ორად სახარების საქადაგებლად ყველასათვის:

მას გააცხადებენ თავიანთ ცხოვრებით ურთიერთ სიყვარულში ერთობით, ლოცვით და უპირველეს ყოვლისა მამის განგებულებაზე მინდობით.

მას უნდა რომ მათ დაამოწმონ იგი თავიანთი სიყვარულით, და ამიტომ ავალებს მათ უმკურნალონ ყველაზე უფრო სუსტებსა და სნეულებს.

# 2 ოქტომბერი

წმ. მფარველ ანგელოსთა (მ)

2009 პარასკევი

გამ. 23, 20-23; ფს. 90; მათ. 18, 1-5.10 ს თ

## იესომ დაუძახა ბავშვს. (მათ. 18, 2)

იესო იმყოფება თავის მოწაფეებთან,
რომლებიც კამათობენ, თუ ვინ არის უფრო
დიდი მათ შორის. მაშინ იგი თავისთან
მოიხმობს ბავშვს რათა გააგებინოს,
რომ ვინც არ გახდება ბავშვივით,
რომელიც საკრებულოში არაფრად
ითვლება, ვერ შეძლებს მიიღოს
მისი სული მთელი სისავსით.
პატარებს და მათ,
რომლებიც პატარები გახდებიან
მამა გამოუგზავნის თავის ანგელოზებს.

# 3 ოქტომბერი

2009 შაბათი

ბარ. 4, 5-12.27-29; ფს. 68; ლუკ. 10, 17-24 II მ

## არაფერი დაგამარცხებთ. (ლუკ. 10, 19)

ვრჩებით რა იესოსთან
ვიღებთ მისგან სული წმიდას,
რომელიც ყველაფერს აკეთებს
ჩვენი ზრდისათვის,
როგორც ადამიანურ,
ისევე ქრისტიანულ დონეზე.
ასევე წინააღმდეგობები
და ის, რაც უარყოფითი გვეჩვენება
გადაიქცევა ჩვენი ზრდის საშუალებად.
მადლობას გწირავთ იესო,
ჩვენო სიცოცხლე!

# 4 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXVII კვირადღე

2009 კვირა

დაბ. 2, 18-24; ფს. 127; ებრ. 2, 9-11; მარკ. 10, 2-16 III ბ

## ორნი იქნებიან ერთ ხორცად (მარკ. 10, 7)

ამ სიტყვებზე: ,,აღადგინე ჩემი ეკლესია“, ფრანცისკე მაშინვე პასუხობს მთელი მზადყოფნით. მაშინვე ყველაფერს ვერ გებულობს, მაგრამ ყველაფერს გასცემს რათა შეისმინოს ღმერთის ეს სურვილი. დღეს იესო გვეუბნება: ,,ორნი ერთი იქნებიან“: გვახსენებს, რომ ღმერთის ეს სურვილი არ არის შესმენილი. ასევე მეუღლეები არიან მოწოდებულნი ეკლესიის აღსადგენად! მათი ერთობა  და ერთგულება ცოლ-ქმრული კავშირი არის ყველაზე ძვირფასი საქმე ეკლესიის აღდგენისათვის.  იმდენად ძვირფასია ეს მსახურება მათი მხრიდან, რომ უდიდესი სიკეთე მოაქვს მთელი საზოგადოებისათვის.

# 5 ოქტომბერი

## 2009 ორშაბათი

იონ. 1, 1–2,1.11; საგ. იონ. 2, 3-5.8; ლუკ. 10, 25-37 III მ

## იზრუნე მასზე. (ლუკ. 10, 35)

ეს არის კეთილი სამარიელის მოწოდება სასტუმროს მეპატრონისადმი, რომ ამგვარად გახდება მოყვასი დაზარალებულისათვის.
ეს არის გზა, რომელსაც იესო გვითითებს სიცოცხლეში შესასვლელად: გვქონდეს თანაგრძნობით აღსავსე მზერა გვერდით მყოფის მიმართ, განსაკუთრებით მცირეთა, ღარიბთა და გასაჭირსი მყოფთა მიმართ.
გმადლობთ, იესო, იმ ზრუნვისათვის, რომელიც გამოიჩინე ჩემს მიმართ, შენი ეკელსიის მეშვეობით. გმადლობთ მათთვის, რომლებიც კურნავენ ჩემს ჭრილობებს, გამოწვეულებს შენი სიყვარულის ცოდნის ნაკლებობის გამო.

# 6 ოქტომბერი

წმ. ბრუნო (ნ.მ)

## 2009 სამშაბათი

იონ. 3, 1-10; ფს. 129; ლუკ. 10, 38-42 III მ

## მარიამი ისმენდა მის სიტყვას. (ლუკ. 10, 39)

ბიბლიაში სიტყვა „მოსმენა“
1000-ზე მეტჯერ გვხდება.
ეს ქმედება მოითხოვს განწყობას
მიღებისათვის, დაცვისათვის,
განკურნებისათვის, დამშვიდებისათვის,
გამდიდრებისათვის.
მოსმენა არის პირობა
ღვთის სიყვარულის მისაღწევად
სუფთა და გაერთიანებული გულით;
შეყვარება და შეცნობა ჩვენთვის ნიშნავს
საუკუნო ცხოვრებას.

# 7 ოქტომბერი

ნეტარ ქალწული მარიამი სავარდისა

## 2009 ოთხშაბათი

იონ. 4, 1-11; ფს. 85; ლუკ. 11, 1-4 III თ

ახალციხის საკრებულოს დღესასწაული.

**მის მეფობას არ ექნება დასასრული.**

(ლუკ. 1, 33)

მთავარანგელოზი გაბრიელის ეს სიტყვები ეხმიანება აღთქმას, ღმერთმა რომ დადო აბრაამთან. ,,მოგცემ შთამომავლობას, რომელიც საუკუნოდ გასტანს...“ ეს აღთქმა, განახლებული ისააკთან და იაკობთან, გადავა დავითის სახლზე და აღესრულება იესოში. მადლობა შევწიროთ მარიამს თავისი მზადყოფნისათვის. შევუერთდეთ ჩვენც მის ჰოს, რათა შევძლოთ სულით გამოვაჩინოთ იესო და შევიტანოთ წვლილი მისი სასუფევლის გასავრცელებლად.

# 8 ოქტომბერი

## 2009 ხუთშაბათი

მალაქ. 3, 13-20; ფს. 1; ლუკ. 11, 5-13 III მ

### დარეკეთ და გაგეღებათ. (ლუკ. 11, 9)

მამაო ვდგავარ შენს გულთან, მსურს რა შე-
მოსვლა და შთაძირვა შენს სიყვარულში.
ვიცი რომ მარადისობიდან შენ შემიყვარე
და იფიქრე ჩემზე როგორც ძეზე
და თანამშრომელზე.
დავბრუნდი შენს დასახმარებლად, რათა
წუთისოფელში მოვიტანო სიყვარული,
განსაკუთრებით იქ სადაც არა რის,
სადაც შენ დაკაკუნების მიუხედავად,
არ გიღებენ.
მე ვარ, მე ვაკაკუნებ, გამიღე!

# 9 ოქტომბერი

## 2009 პარასკევი

იოვ. I, 13-15; 2, 1-2; ფს. 9; ლუკ. 11, 15-26 III მ

## დაგდგომიათ ღვთის სასუფეველი.

(ლუკ. 11, 20)

როდესაც იესო საუბრობს ღვთის სასუფეველზე, საუბრობს საკუთარ თავზე, მამის სიყვარულზე, რომელმაც განხორციელებით ინება ჩვენი მდგომარეობის გაზიარება მისსავე წმიდადსაყოფად.

იესო შენს თანყოფნას მოაქვს ჩემს ცხოვრებაში განთავისუფლება ცოდვისაგან, სიკვდილის შიშისაგან და მათგან, რომლებიც კლავენ და მანიჭებს მშვიდობასა და სიხარულს.

# 10 ოქტომბერი

წმ. დანიელი კომბონი (ნ.მ)

2009 შაბათი

იოვ. 4, 12-21; ფს. 96; ლუკ. 11, 27-28 III მ

## ნეტარ არიან ისინი, ვინც მოისმენენ და დაიცავენ ღვთის სიტყვას. (ლუკ. 11, 28)

იესო არ აფასებს პიროვნებებს
მათი უნარებისა
და სიკეთის კეთების ცოდნის,
არამედ ღმერთთან მათი
მეგობრობის მიხედვით.
ასეა უწმინდესი მარიამი.
არის ნეტარი არა იმიტომ
რომ ქვეყანას მოუვლინა «რაბი»,
არამედ იმიტომ რომ თავისი ცხოვრება
დააფუძნა ღმერთის სიტყვაზე!

# II ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXVIII კვირადღე

2009 კვირა

სიბრძ. 7, 7-11; ფს. 89; ებრ. 4, 12-13; მარკ. 10, 17-30 IV შ

## ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია. (მარკ. 10, 27)

იესო გვეუბნება, რომ სიმდიდრეები
არის განსაცდელი და წინააღმდეგობა
ღვთის სასუფეველში შესასვლელად,
ამიტომ ღვთის სასუფეველს შეუძლია
შესვლა მდიდართა გულებშიც
მატერიალურ სიკეთეებზე მიწებებისაგან
გასათავისუფლებლად და მის
სასუფეველში შესაყვანად.
იესო, მადლობა,
წყაროვ ყოველი ადამიანის იმედისა!

# 12 ოქტომბერი

2009 ორშაბათი

რომ. I, 1-7; ფს. 97; ლუკ. 11, 29-32 IV მ

## ქრისტეს მოწმობა განმტკიცდა თქვენში. (რომ. I, 6)

იესოს მოწოდება არის დიდი მნიშვნელობის საიდუმლო. ჩემთვის დაიწყო კატეხეზებზე სიარულით; გაღრმავდა სახარების მოსასმენად შეხვედრებზე მონაწილეობით და მომწიფდა შემდგომში ერთი ახალგაზრდის გამგზავრებით მღვდლად მისიაში. გადავწყვიტე მისი დახმარება სხვებთან ერთად, და ასე შევიცანი იესოსა და მისი ეკლესიის მსახურების სიხარული. სულ უფრო მეტად აღმოვაჩინე მისი სიყვარული, და როდესაც შემომთავაზა სიცოცხლის შეწირვა მისთვის, წინააღმდეგობის გაწევა ვერ შევძელი.

# 13 ოქტომბერი

2009 სამშაბათი

რომ. 1, 16-25; ფს. 18; ლუკ. 11, 37-41 IV შ

## ერთმა ფარისეველმა სთხოვა, მასთან ეჭამა პური. (ლუკ. 11, 37)

იესომ მიიღო მიპატიჟება
ფარისევლის სადილზე და მასთან ერთად
მიუჯდა სუფრას.შეეცადა დახმარებოდა,
სინათლეზე მისი სიამაყის გამოტანით.
გმადლობთ იესო რომ ყველას სახლში
შესვლას ინებებ, რომლებიც გიწვევენ,
თუნდაც იყვნენ ცოდვილები
თუ ჭეშმარიტებისაგან შორს მდგომნი.
მოდი ასევე ჩემთან უფალო იესო,
შენი გულმოწყალებით!

# 14 ოქტომბერი

2009 ოთხშაბათი

რომ. 2, 1-11; ფს. 61; ლუკ. 11, 42-46 IV შ

## სული ჭვრეტს ყოველივეს, ღვთის სიღრმეებსაც. (რომ. 2, 10)

ღმერთი არის კეთილი და სამართალში მამა:
რა დანაპირებსაც იძლევა ასრულებს მას.
როდესაც ვმოქმედებდი
იესოს სწავლების მიხედვით,
ყოველთვის ვპოვე მშვიდობა გულში
და პატივისცემა. საწინააღმდეგოდ,
როცა არ ვიყავი მისდამი ერთგული,
მოუსვენრობა შევამჩნიე.
სულო წმიდაო,
გვიწინამძღვრე და გაგვამაგრე!

# 15 ოქტომბერი

წმ. თერეზა ავილელი (მ)

2009 ხუთშაბათი

რომ. 3, 21-30; ფს. 129; ლუკ. 11, 47-54 IV თ

## წარიტაცეთ ცოდნის გასაღები. (ლუკ. 11, 52)

ფარისევლებმა ჩამოართვეს სხვებს
სასუფევლის ცოდნის გასაღები:
ასწავლიდნენ ადამიანებს
რომ ისინი ღმერთის წინაშე
წინ იდგებოდნენ თუკი საკუთარი ძალებით
დაიცავდნენ მის მცნებებს.
ღმერთმა კი ინება გამოცხადებოდა
თავმდაბლებს, მცირეთა და ღარიბებს,
როგორც გულმოწყალე უფალი,
რომელიც აჯილდოებს მათ რწმენას!
მადლობას გწირავთ უფალო იესო,
შენი გულმოწყალების გამო.

# 16 ოქტომბერი

2009 პარასკევი

რომ. 4, 1-8; ფს. 31; ლუკ. 12, 1-7

## არც ერთი მათგანი დავიწყებული არ არის ღვთის წინაშე. (ლუკ. 12, 6)

ვინ არიან ესენი, ვინც არ არიან დავიწყებულები ღმერთისაგან? ბეღურები! კი, მამა ღმერთი მათზეც კი ზრუნავს.

ეს სიტყვა დიდი იმედის მომცემია ჩვენთვის. იესო გვარწმუნებს, რომ ვინც მის სიტყვებს ეყრდნობა და რჩება მის სიყვარულში, არაფრის არ უნდა შეეშინდეს არც „მკვლელობისა", არც ბუნდოვანი მომავლისა! თვით მამა ღმერთმა იკისრა მათი დაცვა. „ნუ გეშინიათ", აგრძელებს ეკლესია თავისი მოძღვრებით; იესო აღდგა მკვდრეთით და არის ჩვენი იმედი!

# 17 ოქტომბერი

წმ. ეგნატე ანტიოქიელი (მ)

2009 შაბათი

რომ. 4, 13.16-18; ფს. 104; ლუკ. 12, 8-12 IV წ

## რწმენითა ვართ მემკვიდრენი. (რომ. 4, 16)

წმიდა პავლე მოციქული ქრისტიანებს
ეუბნება: „იყავით ღვთის სახლეული“
და წმიდა იოანე კი:
„აქამდე ღვთის შვილნი ვართ“.
ვისაც სწამს იესოსი აღიარებს
ამ მტკიცებების ჭეშმარიტებას.
ღმერთის შვილად ცხოვრებით,
უკვე ვმონაწილეობს მის სიკეთეებში,
რომლებითაც დავტკბებით უკვე სამოთხეში.

# 18 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXIX კვირადღე

2009 კვირა

ეს. 53, 2.3.10-11; ფს. 32; ებრ. 4, 14-16; მარკ. 10, 35-45 I მ

წმ. ლუკა მახარობელი (დ)

## ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს. (მარკ.10,43)

იესო, რომელიც არის მოძღვარი და უფალი, გახდა ჩვენი მსახური, რათა ჩვენთვის მოეტანა ხსნა. მას მივბაძოთ, რომ ვიყოთ დიდები და პირველები: არ არის სხვა გზები, რომლებიც მიგვიყვანენ მამის გულთან და არ არსებობს უფრო დიდი რამ ვიდრე მამის გული. იყო მასსავით, ეს არის სიდიადის მაქსიმუმი.

# 19 ოქტომბერი

2009 ორშაბათი

რომ. 4, 20-25; საგ. ლუკ. 1, 69-75; ლუკ. 12, 13-21 1მ

## მომღვარო, უთხარი ჩემს ძმას, რომ გამიყოს მემკვიდრეობა. (ლუკ. 12, 13)

რამდენი ადამიანის სთხოვს კიდევ ამას იესოს! და იესო განაგრძობს პასუხის გაცემას. შენი სიცოცხლე არ არის დამოკიდებელი შენს სიმდიდრეზე! ჩხუბის მაგივრად, გულში შურისძიებს ჩადების მაგიერ, ცხოვრების დანგრევის მაგიერ, უარვყოფ მდიდრად ყოფნას, უარვყოფ მშობლების მემკვიდრეობას. ვამჯობინებ მქონდეს მათი ღიმილი და მათი კურთხევა! ამ სასწაულს ვთხოვ ღმერთს ჩემთვის და შენთვის!

# 20 ოქტომბერი

2009 სამშაბათი

რომ. 5, 12.15.17-19.20-21; ფს. 39; ლუკ. 12, 35-38 I მ

## ის შემოირტყამს სარტყელს, მივა და მოემსახურება. (ლუკ. 12, 37)

იესომ მოგვანდო საგანძური დასაცავად
და ნაყოფების გამოსატანად:
რწმენა მასში!
როდესაც ვიყენებთ მას სიყვარულითა
და სიმტკიცით, ჩვენ მას ვადიდებთ.
მაშინ ვღებულობთ მშვიდობასა
და სიხარულს, და მას შეუძლია
მოგვემსახუროს თავის ნადიზე!
სულო წმიდაო შენს შეწევნაში ვსასოობ!

# 21 ოქტომბერი

2009 ოთხშაბათი

რომ. 6, 12-18; ფს. 123; ლუკ. 12, 39-48 I მ

## შესწირეთ ყველაფერი ღმერთს. (რომ. 6, 13)

პავლემ, რიგირც ნებისმიერმა, ვინც ერთხერ
მაინც შეავლო თვალი „ჯვარცმას“
სიყვარულით, იცის რას ნიშნავს
ღმერთისთვის სიცოცხლის მიცემა.
ნიშნავს აქციო ის ძვირფასი, მშვენიერი,
უკვდავი, ჭეშმარიტი, თავისუფალი,
სასარგებლო, სიკეთის წყარო და
ღმერთისთვის სასურველი.
ცორვაა, რომ სურს ჩვენ დამონება
და ამ ძღვენში მონაწილეობას გვაღებინებს,
როგორც აქტში სიკვდილისა და გაქრობისა.

# 22 ოქტომბერი

2009 ხუთშაბათი

რომ. 6, 19-23; ფს. 1; ლუკ. 12, 49-53 II მ

## ამქვეყნად ცეცხლის მოსატანად მოვედი. (ლუკ. 12, 49)

მადლობას გწირავ, იესო,
რომ განკაცდი დედამიწაზე
შენი სულიწმიდის გასაზიარებლად,
შენი ჯვარზე მსხვერპლშეწირვის
მეშვეობით მის მოსანიჭებლად.
ჩვენ მას ვღებულობთ საიდუმლოთა
და რწმენის მეშვეობით.

# 23 ოქტომბერი

2009 პარასკევი

რომ. 7, 18-25; ფს. 118; ლუკ. 12, 54-59 I მ

## ვინ განმანთავისუფლებს ამ მომაკვდავ სხეულისაგან? (რომ. 7, 24)

წმიდა პავლე ჩვენსკენ არის:
როგორც კი მოვინდომებთ სახარების
მიხედვით ცხოვრებას, მაშინვე თავს
გვესხმის ადამიანთა შიში,
ჩვენი სისუსტის გაცნობიერება
და სხვა სურვილები, რომლებიც გვბლოკავენ.
გვრჩება მხოლოდ იესოში
და მის სიყვარულში მინდობა.
მოდი სულო წმიდაო, მასწავლე შინაგანად, რათა
შევძლო ზრდა ღვთის ძეობის წარმოჩენამდე.

# 24 ოქტომბერი

ნეტარი ჯუზეპე ბალდო (ნ.მ.)

2009 შაბათი

რომ. 8, 1-11; ფს. 23; ლუკ. 13, 1-9 1 მ

წმ.იოსების პატარა ქალიშვილების კონგრეგაციის დამაარსებელი

## თუ არ მოინანიებთ, დაიღუპებით.

(ლუკ. 13, 3)

იესომ მოისმინა მწუხარე ამბავი,
რომ პილატემ დახოცა ისინი,
ვინც ტაძარში შევიდნენ სალოცავად.
და ამბობს: ,,თუ თქვენ არ მოექცევით
იგივე ნაირად დაიღუპებით''.
უნდა მოვექცე რათა ჩემი ცხოვრება
და ჩემი სიკვდილი არ იყოს უბედურება,
უნდა მოვექცე! მოქცევა აღესრულება იესოს
მორჩილებით, რომელიც დღეს
თავისი ეკლესიის საშუალებით გველაპარაკება.

# 25 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXX კვირადღე

2009 კვირა

იერემ. 31, 7-9; ფს. 125; ებრ. 5, 1-6; მარკ. 10, 46-52 II მ

## შედგა იესო და თქვა: „დაუძახეთ მას.“ (მარკ. 10, 49)

იესოს, როდესაც მოესმება სახალხოდ დაძახებული მესიანური ტიტული – ძეო დავითისაო, შეჩერდება. უბრძანებს მოწაფეებს მოძებნონ ხალხის ბრბოში „ჩამალული“ ბრმა. ბარტიმეოსი შეამჩნევს, რომ ღმერთი აძლევს შემთხვევას, თავისი ცხოვრების სიბნელიდან გამოსასვლელად. წამოხტება ფეხზე და მიაგებს რა თავისი უბადრუკი „უსაფრთხოების“ მოსასხამს, გაემართება იესოსკენ.

იგი დაინახავს რა მის რწმენას, განკურნავს, დაიხსნის და მიანიჭებს მისთვის გაყოლის მადლს.

# 26 ოქტომბერი

2009 ორშაბათი

რომ. 8, 12-17; ფს. 67; ლუკ. 13, 10-17 II მ

## მთელი ხალხი ხარობდა მის დიდებულებათა გამო, რასაც სჩადიოდა. (ლუკ. 13, 17)

იესო კურნავს ქალს,
რომელიც 18 წელიწადის განმავლობაში
მოხრილი იყო წელში.
იესოს უნდა ასევე ჩვენი თვალების
განკურნება, რომლებიც მიპყრობილია
თვით ჩენს თავზე, რადგანაც ისინი
მივაპყროთ მას.
ჩვენი ცხოვრება გარდაიქმნება
ღვთის დიდებად და აღივსება სიხარულით!

# 27 ოქტომბერი

2009 სამშაბათი

რომ. 8, 18-25; ფს. 125; ლუკ. 13, 18-21 II მ

მამა გარიელ ასლანიშვილის მოხსენიება († 1930)

## სასოებით ვიყავით დახსნილნი. (რომ. 8, 24)

ჩვენ ჩვეულებრივ ვფიქრობთ,
რომ იმედის ქონა არის წარმოიდგინო
ისეთი სიტუაცია, როგორც გვინდა რომ
იყოს ან როგორც გვენდომება,
და ისურვო, რომ განხორციელდება.
წმ. პავლესთვის კი იმედის ქონა ნიშნავს
მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რასაც
იესო ამბობს უკვე არის ასე, უკვე, ახლავე!
მადლობა, იესო,
რადგანაც ეს დარწმუნება შეეხება ჩვენს ხსნას.

# 28 ოქტომბერი

წმ. სიმონი და იუდა, მოციქულები

## 2009 ოთხშაბათი

ეფეს. 2, 19-22; ფს. 18; ლუკ. 6, 12-16 ს წ

სოხუმის საკრებულოს დღესასწაული.

## მთელი ღამე ღვთისადმი ლოცვაში გაატარა. (ლუკ. 6, 12)

იესოს უნდა მამის განდიდება
და მისი ნების აღსრულება,
და ამისათვის ეძებს და უსმენს მას.
ღერბულობს რა მისგან ნათელს,
ღებულობს გადაწყვეტილებებს,
რომლებიც მამა მიუთითა.
იესო დაგვეხმარე, მივყვეთ შენს მაგალითს.
წმ.სიმონ და იუდა მოციქულნი,
ილოცეთ ჩვენთვის.

# 29 ოქტომბერი

2009 ხუთშაბათი

რომ. 8, 31-39; ფს. 108; ლუკ. 13, 31-35 II მ

## კურთხეულია უფლის სახელით მომავალი. (ლუკ. 13, 35)

წმიდა წერილის სხვა ადგილზე ნათქვამია:
,,რა მშვენიერია ფეხნი მახარობელთა!"
ორივე გამოთქმა აღვსილია
იესოს სიყვარულით და სიხარულით.
იგი მოვიდა, რათა ხელახლა ღვთის შვილად
და თვის მემკვიდრეებად დაგვადგინოს.

# 30 ოქტომბერი

2009 პარასკევი

რომ. 9, 1-5; ფს. 147; ლუკ. 14, 1-6 II მ

## შეეხო მას, განკურნა და გაუშვა.

(ლუკ. 14, 4)

იესო არის შუქი და ხსნა
ყოველი ადამიანისათვის,
რომელიც ცხოვრობს თავმდაბლად
და სიღარიბის სულით.
მისი ცხოვრება ასევე ჩვენ გვეხმარება
იმ ჩვეულებებისა და ორიენტაციების
გამოსწორებაში, რომლებიც არ არის
მამა ღმერთის გულისამებრ!
იესო, გმადლობთ, რომ მოხვედი ამქვეყნად!

# 31 ოქტომბერი

2009 შაბათი

რომ. 11, 1-2.11-12.25-29; ფს. 93; ლუკ. 14, 1.7-11 II მ

## ვინაიდან უცვალებელია ღვთის ნიჭი და მოწოდება. (რომ. 11, 29)

დიახ, ღმერთი ერთგულია.
მან დიდი ნიჭები უბოძა მათ, რომლებიც აირჩია,
რათა ყველას დახმარებოდნენ მის შეცნობაში
და მის სასუფეველში შესვლისათვის.
მას უკან არ მიაქვს ეს ნიჭები, თუნდაც
რჩეულები არ ცხოვრობდნენ მისი გულისამებრ.
მადლობთ მამაო, შენი გულუხვობისათვის,
მოთმინებისა და გულმოწყალებისათვის.